ილია დათუნაშვილის "ხუთიანი"

თბილისი. "დინამოს" სტადიონი. 22 სექტემბერი.

"დინამო" (თბილისი) – "არარატი" (ერევანი) 5:0 (0:0).

"დინამო": ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, შერგელაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი.

"არარატი": ა. აბრამიანი, სეროფიანი, ავეტისიანი, სიომინი, მესროპიანი, კოვალენკო, ოვსეპიანი, ფ. აბრამიანი (ვიუნი), ეგიაზარიანი, ოვივიანი, სიმონიანი.

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

ჯერ რამდენიმე სიტყვა იმ თავისებურ რეკორდზე, რომელიც იმ დღეს თბილისის "დინამოს" სტადიონზე იქნა დამყარებული. საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად ერთმა მოთამაშემ ერთ მატჩში 5 ბურთი გაიტანა. ამ რეკორდის ავტორია თბილისელთა მარჯვენა გარემარბი დათუნაშვილი, რომელიც თამაშის შემდეგ ჩემპიონატის მოწინავე ბომბარდირთა სიაში შევიდა (14 ბურთი).

ერთ მატჩში 4 ბურთი პირველად მოსკოვის "სპარტაკის" თავდამსხმელმა სემიონოვმა გაიტანა. მას შემდეგ იყო რეკორდის გაუმჯობესების რამდენიმე "ცდა", მაგრამ წარმატებით ვერც ერთი მათგანი ვერ დაგვირგვინდა. სხვათა შორის, "ბედის მაძიებელთა" რიცხვში იყო თბილისის "ლოკომოტივის" ცენტრალური თავდამსხმელი კარამატაზიანიც, რომელმაც 1938 წელს კიევის თანაკლუბელებთან შეხვედრაში სემიონოვის რეკორდი გაიმეორა.

ერევნელებთან მატჩში დათუნაშვილმა მართლაც ფენომენალურ შედეგს მიაღწია (27 წუთში – 5 ბურთი), მაგრამ რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მისი დამსახურება როდია. ყოველი გოლი თავდამსხმელთა, ნახევარმცველებისა და ასე გასინჯეთ, მცველების კოლექტიური მოქმედების ნაყოფი იყო, რომელსაც თბილისელთა მარჯვენა გარემარბი, როგორც წესი, ზუსტად და დროულად უსვამდა წერტილს.

ჩემპიონატის პირველ წრეში "არარატმა" საკუთარ მინდორზე თბილისის "დინამოს" მინიმალური უპირატესობით მოუგო. ეს გარემოება ხუთშაბათის მატჩში თავისთავად განსაზღვრავდა სტუმრების გეგმას: ფრე – როგორც პროგრამის აუცილებელი ნაწილი, და თუ საშუალება იქნებოდა – გამარჯვებაც. თბილისელთა წინაშე, თავისთავად ცხადია, რევანშის გარდუვალობის საკითხი იდგა. ასე რომ, ორივე კოლექტივმა თამაში კონკრეტული ამოცანებით დაიწყო.

მატჩის პირველმა ნახევარმა სტუმრების გეგმის რეალურობას ფრთები შეასხა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებს ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ და მწვავედაც უტევდნენ, ანგარიში არ გახსნილა. მაგრამ იმედების პირველ 45 წუთს "დინამოსთვის" ფუჭად არ ჩაუვლია. ამ დროის მანძილზე თბილისელებმა ერევნელთა ყველა სუსტი მხარე მოსინჯეს და, როგორც იტყვიან, ნიადაგი შეამზადეს გამარჯვებისათვის.

პირველი ტაიმის შედეგით სტუმრები კმაყოფილი დარჩნენ: მათ დასახული პროგრამის 50 პროცენტი იმგვარად შეასრულეს, რომ "ანტისაფეხბურთო" ხერხები მაინცდამაინც არ დასჭირვებიათ.

ჩვენი სტუმრები ბევრს მოძრაობდნენ, თავგამოდებით იცავდნენ თავს და ზოგჯერ სახიფათო, კონტრშეტევებსაც ახორციელებდნენ. სტუმრებს საგანგაშო მხოლოდ ის ჰქონდათ, რომ თბილისელთა მცველებმა მთლიანად გამოთიშეს თამაშიდან ოვივიანი, რომელმაც ფლანგებზე გადასვლა დაიწყო თუმცა იქაც ვერ ნახა ხეირი.

პირველ ნახევარში უკიდურესობამდე მოჭიმულმა ზამბარამ თავი მეორე ტაიმის მე-3 წუთზე აიშვა: გ. სიჭინავამ მარჯვენა მხრიდან ზუსტად ჩააწოდა ერევნელთა საჯარიმო მოედანზე, მეტრეველმა ბურთი თავით დაუგდო დათუნაშვილს და ანგარიშიც გაიხსნა – 1:0.

10 წუთის განმავლობაში ერევნელებს კიდევ ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების გარკვეული იმედები, მაგრამ დათუნაშვილმა ყველაფერი, ასე ვთქვათ, თავის ადგილზე დააყენა. მისი მეორე გოლი საშემსრულებლო ოსტატობის მხრივ უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. 58-ე წუთზე

თბილისელთა გარემარბმა მარჯვენა ფლანგიდან მიიღო პასი და თავური დარტყმით ბურთი ერევნელთა კარისკენ გაგზავნა. აბრამიანმა მუშტით უკუაგდო იგი, მაგრამ დათუნაშვილმა (ამჯერად ფეხით) შეუჩერებლივ მოათავსა ბურთი კარში. ზუსტად 1 წუთის შემდეგ დათუნაშვილმა ფრთები შეასხა მეტრეველის სწორ ჩანაფიქრს – 3:0.

72-ე წუთზე დათუნაშვილმა ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეტოქის საჯარიმო მოედანზე მუდამ მზადყოფნას. ჩვენს გარემარბს გოლის უჩვეულო ინტუიცია აქვს, ამიტომაც იგი მინდვრის სახიფათო უბანს ყველაზე ბოლოს ტოვებს. ასე რომ არ ყოფილიყო, იგი ალბათ ვერც მიუსწრებდა მეტრეველის დარტყმას, რომლის შემდეგაც ძელმა ბურთი საჯარიმო მოედნის სიღრმეში დააბრუნა. ბოლო, მე-5 გოლი დათუნაშვილმა 75-ე წუთზე გაიტანა და ამით შესანიშნავი რეკორდის მფლობელი გახდა.

ნ. გუგუშვილი.

“ლელო”, 24 სექტემბერი, 1966 წ.